# საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № ი-70

ქ. თბილისი „11" 02 2011 წ.

### შპს "საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკულ კორპორაცია"-ს რიცეულას ჰიდროელექტროსადგურის ჰიდროტექნიკური ნაგებობების რეკონსტრუქციის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ

„გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „მ" ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2, მე-4 და მე-5 პუნქტების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №09; 11.02.2011წ. შპს "საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკულ კორპორაცია"-ს ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რიცეულას ჰიდროელექტროსადგურის ჰიდროტექნიკური ნაგებობების რეკონსტრუქციის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე;
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2011 წლის 14 იანვრის №ი-22 ბრძანება "შპს "რიცეულაჰესი"-ზე გაცემული გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შპს "საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია"-ზე გადაცემის შესახებ";
3. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა გაიცემა განუსაზღვრელი ვადით;
4. შპს "საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკულ კორპორაცია"-მ უზრუნველყოს პირველი პუნქტით განსაზღვრული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული პირობების შესრულება;

6. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს "საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკულ კორპორაცია"-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
7. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს მთავრობაში (ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ.№7) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

*საფუძველი: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს №32/01-28; 28.01.2011წ. განცხადება, ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №09; 11.02.2011წ. და ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურის უფროსის ნიკოლოზ ჭახნაკიას მოხსენებითი ბარათი.*

გიორგი ხაჩიძე
მინისტრი

*ეგზავნება: ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, შპს "საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკულ კორპორაცია"-ს, გარემოს დაცვის ინსპექციას.*